სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

23 აგვისტო 2024

N 21/9044

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის პირველი აგვისტოს №22/5998 სკრინინგის განცხადება (სააგენტოში რეგისტრაციით №7800), რომელიც ეხება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სიონის და სტეფანწმინდის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე (ფანშეტის უბანი და სიონის უბანი), წელიწადში ჯამურად 2 000 000 m^3 მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებასა და მასზე თანდართულ გეოსაინფორმაციო პაკეტში გეოდინამიკური პროცესების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია ურთიერთშეუსაბამოა და საჭიროებს დაზუსტებას;
- სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტი (სიონის უბანი) ექცევა ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის – გერგეტის სამების ვიზუალური დაცვის არეალში და მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი, რაც გულისხმობს ძეგლის დამცავ ზონაში იმგვარი მოქმედებების აკრძალვას, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას. ამასთან, ძეგლის დამცავ ზონაში სამშენებლო პროექტი უნდა შეთანხმდეს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

დანართი: ელ ვერსია.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/9044-21-2-202408231017

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზ. **N79**
0102 თბილისი, საქართველო
info@heritagesites.ge

07 / აგვისტო / 2024 წ.

№ **17/2899**

KA990154849311524

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსის მოადგილის მოვალეობის
შემსრულებელს, ქალბატონ თამარ
შარაშიძეს

ქალბატონო თამარ,

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 06.08.2024 წლის N21/8290 წერილი, რომელიც ეხება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სიონის და სტეფანწმინდის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე, წელიწადში 2 000 000 მ 3 მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების სკრინინგის განცხადებაზე სააგენტოს შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენას.

გაცნობებთ, რომ წერილზე თანდართულ დოკუმენტაციას არ ახლავს სკრინინგის განცხადება, შესაბამისად, აღნიშნულ დოკუმენტზე სააგენტო პოზიციას ვერ დააფიქსირებს.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიას (ფანშეტის უბანი და სიონის უბანი), წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტისა და რუკის მიხედვით, სიონის უბნის წყაროები ექცევა ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის გერგეტის სამების ვიზუალური დაცვის არეალში. შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი, რაც გულისხმობს ძეგლის დამცავ ზონაში იმგვარი მოქმედებების აკრძალვას, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

ამავე დროს, ძეგლის დამცავ ზონაში სამშენებლო პროექტი უნდა შეთანხმდეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი